ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

საანგარიშო პერიოდი:
01.09.2014 – 15.06.2015

შინაარსი

I. შესავალი 2

II. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები 3

I. შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მე-18 ვალდებულების შესაბამისად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (შემდგომში - ცესკო) და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (შემდგომში - სწავლების ცენტრი) საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 15 ივნისის მდგომარეობით, განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

მიმართულება N1	**რეიტინგი**	**სტატუსი**
სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	სრულად შესრულდა	დასრულდა
მიმართულება N2	**რეიტინგი**	**სტატუსი**
საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტები ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის:		
2.1. პროექტი - „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილების მნიშვნელობა“	სრულად შესრულდა	დასრულდა
2.2. საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტი ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის	სრულად შესრულდა	დასრულდა
2.3. არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში	სრულად შესრულდა	დასრულდა
2.4. პროექტი - „სტუდენტური დებატ-კლუბი“	სრულად შესრულდა	დასრულდა
2.5. საპილოტე პროექტი - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“	უმეტესწილად შესრულდა	მიმდინარეობს
მიმართულება N3	**რეიტინგი**	**სტატუსი**
საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტები არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის:		
3.1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება	სრულად შესრულდა	დასრულდა
3.2. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლეთა უწყვეტი პროფესიული განვითარება	სრულად შესრულდა	დასრულდა

მიმართულება N4	რეიტინგი	სტატუსი
პროექტი არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე:		
4.1. საგრანტო კონკურსი მიმართულებაზე - „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში“	სრულად შესრულდა	დასრულდა
4.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე სასწავლო მოდულის შემუშავება და იმპლემენტაცია	სრულად შესრულდა	დასრულდა
მიმართულება N5	**რეიტინგი**	**სტატუსი**
საგრანტო კონკურსების ორგანიზება საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლებისა და ზოგადად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით:		
5.1. 2014 წლის 15 სექტემბრისა და 2015 წლის 24 მარტის საგრანტო კონკურსები	სრულად შესრულდა	დასრულდა
5.2. საგრანტო კონკურსი	სრულად შესრულდა	დასრულდა

II. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები

<u>მიმართულება N1: სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში</u>

ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახორციელებს სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო კულტურის გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას საარჩევნო სამართლის დარგში („სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში“), იურიდიული ფაკულტეტისა და პოლიტიკურ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (მედიის სკოლა) სტუდენტებისთვის.

აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2010 წელს ცესკოს, სწავლების ცენტრსა და 16 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. 2015 წელს პარტნიორთა ქსელი გაფართოვდა და საარჩევნო სამოქალაქო განათლების მიმართულებით პროაქტიული თანამშრომლობის ინიციატივას ასევე შემოუერთდა სამი უნივერსიტეტი.

2014-2015 სასწავლო წელს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში გაიარა მემორანდუმის ხელმომწერი უნივერისიტეტების 593 სტუდენტმა.

სასწავლო პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, სახელმძღვანელო ინსტრუქცია ლექტორებისთვის, ელექტრონული პრეზენტაციები. პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტებში სემესტრული სწავლება მიმდინარეობს კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ელექტრონულ, თეორიულ, პრაქტიკულ სწავლებასა და როლურ თამაშებს.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის აღნიშნული საგანმანათლებლო ინიციატივა ყოველწლიურად ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდების საარჩევნო კულტურის განვითარებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში თითოეული მოქალაქის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

<u>**მიმართულება N2: საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტები ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის**</u>

2.1. პროექტი - „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილების მნიშვნელობა“

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ 11 უნივერსიტეტში (თბილისში - 8 უნივერსიტეტი, სხვა რეგიონებში - 3 უნივერსიტეტი) განხორციელდა საინფორმაციო პროექტი, რომლის ფარგლებში სტუდენტებთან ჩატარდა სემინარი და მოეწყო დისკუსია თემაზე „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“. სტუდენტებს ასევე დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები, რომელშიც გაწერილი იყო საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 22 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 442 სტუდენტმა, სემინარის ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერებმა. მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.



2.2. საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტი ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ააიპ ასოციაცია საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელთან მემორანდუმი გააფორმა. აღნიშნული თანამშრომლობა სახელმწიფო დაწესებულებასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიზნად ისახავს ბავშვთა სახლებსა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ალტერნატიულ მომსახურებებში განთავსებული მოზარდებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას დემოკრატიული არჩევნებისა და არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებზე, ასევე მათი ინფორმირების უზუნველყოფას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ და აქტივობის ზრდის წახალისებას არჩევნებზე.

აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე ცესკოს სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდა: პირველი ეტაპი მოიცავდა ორკვირიან სასწავლო კურსს თბილისის ბავშვთა სოფელში, ხოლო მეორე ეტაპი - ქუთაისის ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ ძირითად საკითხებს: არჩევნების ისტორია საქართველოში, საარჩევნო სამართლის პრინციპები, საკანონმდებლო ჩარჩო, საქართველოს

საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი მუშაობის წესი, არჩევნებში ჩართული მხარეები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია - სიები; კენჭისყრის პროცედურები და სხვა. მონაწილეებმა ასევე იხილეს სწავლების ცენტრის მიერ გადაღებული სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ და პრაქტიკული სწავლების ფარგლებში განახორციელეს კენჭისყრის დღის სიმულაცია. სასწავლო კურსი გაიარა 33 ახალგაზრდამ.

2.3. არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ცესკო და სწავლების ცენტრი სისტემატურად მართავს საინფორმციო ხასიათის შეხვედრებს სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებთან, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო კულტურის განვითარებასა და ახალგაზრდების მოტივირებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. დანერგილი ტრადიციის მიხედვით, ცესკო და სწავლების ცენტრი ახალგაზრდა ამომრჩევლებს ყოველწლიურად ასევე საერთაშორისო არჩევნების დღის აღსანიშნავად მასპინძლობს (5 თებერვალი). შეხვედრების ფორმატში ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სწავლების ცენტრის საქმიანობის შესახებ, ხვდებიან საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილავენ მათთვის საინტერესო საკითხებს არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნების ისტორიის გაცნობის მიზნით ახალგაზრდები ათვალიერებენ ცესკოს შენობაში არსებულ ფოტო–ვიდეო გამოფენას „არჩევნები–ერის შემოქმედი“, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული არქივის მხარდაჭერით შეიქმნა.

2.4. პროექტი - "სტუდენტური დებატ-კლუბი"

ცესკოს სწავლების ცენტრის პროექტი "სტუდენტური დებატ-კლუბი" ითვალისწინებს სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერებისა და საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას, საარჩევნო პროცესებზე ახალგაზრდების ინტერესის გაღრმავებასა და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მათი მოტივირებას, ასევე სტუდენტების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუდენტებს შორის გაიმართა დებატები თემაზე „მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან უნდა მიენიჭოს თუ არა აქტიური საარჩევნო უფლება“ და „პარტიულ სიებში გენდერული კვოტა უნდა იყოს თუ არა სავალდებულო“.

დებატებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა, რომლებმაც მიმდინარე წელს გაიარეს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სემესტრული სწავლება საარჩევნო სამართლის დარგში.

გამარჯვებული გუნდები გამოავლინა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცესკოს წევრები და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი. სტუდენტები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

2.5. საპილოტე პროექტი - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“

ცესკო და სწავლების ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს საპილოტე პროექტს „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“. პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას და არჩევნების პოპულარიზაციას ახალგაზრდებში. პროექტის ფარგლებში, 17-დან 25 წლამდე ასაკის 500-მდე ახალგაზრდა გაივლის სასწავლო კურსს და მიიღებს ცოდნას არჩევნებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

პროექტის იმპლემენტაციის განხორციელება გათვალისწინებულია ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე - საარჩევნო განვითარების სკოლები 10 საარჩევნო ოლქში ამოქმედდება, კერძოდ, თელავში, გურჯაანში, ახალციხეში, მარნეულში, გორში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში (პერიოდი: 13 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით);

მეორე ეტაპზე - 9 საარჩევნო ოლქში, კერძოდ თელავში, ახალციხეში, მარნეულში, გორში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში (პერიოდი: 27 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით).

მოსამზადებელ ეტაპზე, საანგარიშო პერიოდში, ცესკოს სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგანმანათლებლო პროექტისთვის სხვადასხვა ხასიათის სასწავლო მასალის შემუშავება და 34 ტრენერის მომზადება, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები წარმოადგენენ.

<u>მიმართულება N3: საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროექტები არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის</u>

3.1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის მიზნით.

გამოცდები განხორციელდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული ტესტები მოიცავდა კითხვებს საქართველოს კონსტიტუციიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური და ვერბალური ნაწილი).





3.2. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლეთა უწყვეტი პროფესიული განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, ცესკოს სწავლების ცენტრმა უზრუნველყო ტრენინგების ეტაპობრივად ჩატარება ცესკოს აპარატის თანამშრომლებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი წევრებისათვის. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი მოიცავს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა

მოდულებს, მათ შორის, საარჩევნო ციკლის მიმოხილვა, საარჩევნო პროცედურები, საარჩევნო დავები და სხვა.

უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობასა და შესაბამისად საარჩევნო პროცესის სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით გამართულად წარმართვას.

<u>მიმართულება N4: პროექტი არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე</u>

4.1. საგრანტო კონკურსი მიმართულებაზე - „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში“

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, რომელიც სხვადასხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს შექმნის ხელშეწყობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით 2015 წლის 24 მარტს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის დაფინანსების ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრული იყო - „ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში“ (http://electionreforms.ge/index.php?page=concurs&id=752).

აღნიშნული კონკურსის ფარგლებში საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 5 პროექტი (http://electionreforms.ge/index.php?page=concurs&id=792). პროექტები ითვალისწინებს საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის მოტივაციის ზრდისა და მათი პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

4.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე სასწავლო მოდულის შემუშავება და იმპლემენტაცია

არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ჩაატარა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სწავლების ცენტრისა და ცესკოს წარმომადგენლებმა, პარტნიორი უნივერსიტეტების ლექტორებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა. შეხვედრის ფორმატში შემუშავდა მოდული „გენდერი და არჩევნები“, მოხდა მიზნობრივი ჯგუფებისთვის რელევანტური საკითხების იდენტიფიცირება, სწავლების მეთოდებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა. აღნიშნული მოდული ინტეგრირებულ იქნა ცესკოს საპილოტე პროექტისთვის - „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ შემუშავებულ სასწავლო კურსში (იხ. ქვეთავი 2.5), რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: გენდერის ძირითადი ცნებები და პრინციპები, გენდერული თანასწორობა და უზრუნველყოფის მექანიზმები, გენდერული თანასწორობა საქართველოში, გენდერი და არჩევნები (კვოტირების მექანიზმები) და სხვა.

<u>მიმართულება N5: საგრანტო კონკურსების ორგანიზება საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლებისა და ზოგადად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით</u>

5.1. 2014 წლის 15 სექტემბრის საგრანტო კონკურსი

ცესკო და სწავლების ცენტრი არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის საგრანტო კონკურსების ფორმატში, უზრუნველყოფს ისეთი ინიციატივების მხარდაჭერასა და წახალისებას, რომელიც ორიენტირებულია ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობაზე, ასევე არჩევნების ჭრილში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშესაწყობად.

ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით 2014 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 12 პროექტი.
http://electionreforms.ge/?page=concurs&id=682
http://electionreforms.ge/index.php?page=concurs&id=716

5.2. 2015 წლის 24 მარტის საგრანტო კონკურსი

დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 24 მარტს სწავლების ცენტრის ორგანიზებით საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ცესკოს განკარგულებით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებზე:

- ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის;
- ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში;

- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა (რეგიონულ ჭრილში);
- ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 25 საგრანტო პროექტი.

http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=750
http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=789

ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი ამოცანების ერთობლივი ძალისხმევით წარმატებით უზრუნველსაყოფად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის პროაქტიული თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგრანტო კონკურსების ფორმატში ეფუძნება გამჭვირვალეობისა და საჯაროობის პრინციპებს.

http://www.electionreforms.ge/index.php?page=news&id=685
http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=776
http://electionreforms.ge/index.php?page=news&id=760